სახალხო გაზეთი

№ 902 შაბათი, 25 მაისი 1913 წ. № 902

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

წლის თავის წირვა შარშან გარდაცვლილ ქართველ კათოლიკეთა მოძღვრის

ივანე გვარამაძის

(ქართულ მწერლობაში ცნობილ „ვინმე მესხის“) სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება კვირას, 26 მაისს, ქართველ კათოლიკეთა წმ. იოანნეს ეკლესიაში დილის 9 საათზე ქ. ახალციხეს; წირვის შემდეგ მის საფლავზე იმავე ეკლესიის ეზოში გადაიხდიან პარაკლისს, რასაც გულითად მწუხარებით აუწყებს ნათესავ-ნაცნობმეგობართა გარდაცვალებულის **ძე კონსტანტინე ივანეს ძე გვარამაძე.** 1222

თავადნი **ანტონ და ვარდენ წ. ლუკიძენი** და **ექიმი შალვა მიქელაძე** ღრმეს მადლობას უძღვნიან ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს, ფოთის და ქუთაისის საზოგადოებას და ყველა იმათ, ვინც დეპეშით, წერილობით თუ პირადად დასწრებით პატივისცა

დავით გრიგოლის ძე წულუკიძის

ხსოვნას. 1229.

კვირას 26, ორშაბათს 27 და სამშაბათს 28 მაისს,

იქნება გამოფენა ხელ-საქმისა და ნახატებისა

ქართველ ქალთა ამხანაგ. სამკერვალო სკოლაში

დილის 12 საათიდან ს ღამ. 6 ს.-მდე, ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3. 303

საარტისტო საზოგადოების თეატრი

ორშაბათს, 27 მაისს, 1931 წ.,

გაზეთ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი

ტ. ოლგენინი,

რომელიც ოსმალეთში **იქვს სომხეთა ვილაეტების** დათვალიერების შემდეგ დაბრუნდა, **წაიკითხავს მხოლოდ ერთ ლექციას** (სამეცნიეროს):

სომხეთი, რომელიც ჰქრება.

ლექტორი **აჩვენებს ადგილობრივ გადაღებულ სურათებს.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ✦ **დასაწყისი საღ. მ. 8-ნახევ. საათზე.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

ბრძოლის ღიმილი

ლექსები ურითმოდ

ი. გრიშაშვილისა

ორი შაური.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში ტფილისში და ტფილისს გარედაც. 286

გორის საზოგადოების

საურთიერთო ნდობის ბანკი

აცხადებს, რომ საზოგადოების

წევრთა მორიგი წლიური კრება

დანიშნულია ამა 1913 წლის 9 ივნისს, ქ. გორში, შუადღის 11 საათზე, ბანკის სადგომში.

განსახილველი საგნები:

1. 1912 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3. არჩევნები სამი საბჭოს წევრისა თ-დ გრ. ნიკ. ამირაჯიბისა, დ. რ. მაჭავარიანის და მ. ე. ახალბედაშვილის ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუთავდათ.
4. არჩევანი გამგეობის წევრისა გ. დ. კვალიევის ნაცვლად, რომელსაც ვადა გაუთავდა.
5. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამი კანდიდატისა, რომელნიც შეამოწმეიენ 1913 წლის ანგარიშს.
6. საზოგადოების საბჭოს, მიმღები კომიტეტის და სარევიზიო კომისიის ჯილდოს შესახებ საკითხის გამორკვევა და მის რაოდენობის გადაწყვეტა.
7. საზოგადოების საბჭოს მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ.

1224

ფოთის ქალაქის გამგეობის

განცხადება

ფოთის ქალაქის ბაღში არსებული პავილიონი, რომელშიაც მოთავსებულია საზაფხულო საზოგადო საკრებულო (კლუბი), ფოთის ქალაქის გამგეობის დადგენილებით იცემა

საჯაროდ სამი წლის ვადით.

ზეპირი და დახურული კანვერტებით საჯარო ვაჭრობა დანიშნულია ამა მიმდინარე 1913 წლის პირველ ივნისს, დღის 12 საათზე ფოთის ქალაქის გამგეობის შენობაში. ვისაც საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა ჰსურს, იმან წინდაწინ უნდა წარადგინოს ქალაქის გამგეობის კასაში გირაოდ 600 მანეთი ფულად, ან დაზღვეული სახელმწიფო ქაღალდებით.

ვისაც კონდიციის ყველა პირობების დაწვრილებით გაცნობა ჰსურს, მას შეუძლიან მობრძანდეს გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. 1223

კვირას, 26 მაისს, ახალი კლუბის ბაღში გაიმართება სეირნობა

ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

სეირნობის დროს გაიმართება შემდეგი გასართობები: სინემატოგრაფი, ამერიკული ბაზარი, პტიშვო, ბედნიერების კლიტე, ტომბო, დაუშრეტელი წყარო, ოინბაზი, კონფეტტი, ყვავილები, ამურის სიცელქე, დედოფალა, რგოლების სროლა, რებუსი, ცეკვა

ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. **დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.**

შესვლა: დიდებისათვის 25 კაპ., ბავშვებისთვის და მოწაფეთათვის 15 კაპ.

სეირნობის გამგე **ქნ. სოფიო დავითის ასული გრუზინსკისა.** 1201

ახალი კლუბი

საზაფხულო თეატრი

შაბათს, 25 მაისს, 1913 წ. გაიმართება პირველი სიმფონიური

კონცერტი

გ. ი. ზელიონის ლოტბაროობით და პიანისტის **ლეონ პიშნოვის** მონაწილეობით:

პროგრამა: კალინნიკოვი—სიმფონი g. moll, ჩაიკოვსკი—კონცერტი B moll ფორტეპიანოსთვის ორკესტრით, ლისტი—Les Prëludes და სხვა.

თუ ცუდი ამინდი იქნა სიმფონიური კონცერტი გაიმართება საზამთრო თეატრში. 1162 დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ახალი კლუბი

მუდმივ ყოველ კვირეულ გასართობთა წეს რიგი:

სამშაბათობით და შაბათობით

დაუკრავს „ახალ კლუბის“ მიერ მოწყობილი

არტისტებისაგან შემდგარი

სიმფონიური ორკესტრი

გ. ი. ზელიონის ლოტბაროობით

სოლისტების მონაწილეობით: სკრიპკა—თავისუფალი ხელოვანი, კუსევეცკის ორკესტრის კონცერტ-მეისტერი **ბ. ი. კრეინინი**, ვიოლონჩელისტი—**ე. ნ. კოპელნიცკი** და გრაფ შერემეტიევის ორკესტრის არფა-არფისტი **ი. ა. პოლომარენკო.**

სამშაბათობით იქნება **სიმფონიური კრებული**

და შაბათობით **ჩვეულებრივი კონცერტი.**

ორშაბათობით და **ოთხშაბათობით** საზაფხულო თეატრში გაიმართება

კინემატოგრაფის სეანსები და სიმფონიურ ორკესტრის სამუსიკო განყოფილება.

მცირე ორკესტრი ბაღში დაუკრავს 11 საათიდან ღამის 2 საათამდე.

პარასკეობით:

კინემატოგრაფის სეანსები და **სიმფონიურ ორკესტრის სამი განყოფილება** ღამის 12 საათამდე. 12 საათის შემდეგ კლუბის დაკეტვამდე **დაუკრავს საზანდარი.**

ხუთშაბათობით.

საოჯახო საღამო წარმოდგენები, ცეკვა და სამხედრო ორკესტრი.

კვირაობით. საბავშვო საღამოებს გაიმართება (საღამ. 6—11 საათამდე).

სიმფონიურ და ჩვეულებრივ ორკესტრების დროს მუსიკის დაკვრის დასაწყისი სწორედ საღამოს 9 ს., კინემატოგრაფის სეანსების დასაწყისი საღამოს 8-ნახევარ საათზე. 1225

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1.
ბავშვთა სნეულბ	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606''** და **,,914'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შ. ღავათიანი საფასურით. **წ. 1035**

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მებრაბიანცი

წამლობა ჭლექისა,

იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა **ტუბერკულინით, რადიის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით.** იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—1 ს. და საღ 5—8 საათ. ადრესი: **ხოლოდნაია**, ბებუთოვის ქ., № 23 (განთვის ქ. კუთხე).

ტელეფ. № 7—93. 97

დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახლად დასტამბული წიგნები:

ვეფხის-ტყაოსანი ინგლისურად ნათ. ვორდროპის მიერ	ფ. 6—კ.
გრიშაშვილი ბრძოლის ღიმილი	10 „
გაბაშვილი ე. მაგდანას ლურჯა	5 „
დავით ეპისკოპოსის სიტყვანი I	10 „
„ „ „ II	15 „
ერისთავი დიმ. ნაწ. დაუს. რომანი.	20 „
ვართაგავა ივ. ევდოშვ. პოეზია	15 „
თაფლი და მისი სამკურნალო მნიშვნელობა, წულაძის თარგმ.	5 „
ლომოური ნ. ალი	10 „
„ „ ქაჯანა	5 „
მღვიმელი. ცვარი	20 „
ნინოშვილი ე. ორი პუბ. წერილი	5 „
„ „ არშიყნი	5 „
„ „ განკარგულება	5 „
„ „ მოსე მწერალი	10 „
ნინოშვილის ბიოგრაფია, დასაფლავება და კრიტიკული გარჩევა, ი. გომართელისა	15 „
Ниношвили Игнатій	5 „
ნიკოლაძე ნ. ჩემს პოლიტიკაზე	10 „
რამიშვილი ტრ. ცხოვრების ნაწყვეტი დრამა 1 მოქმ.	15 „
ბრიე. დასჯილნი პიეს. სამ მოქ.	40 „
ყიფშიძე ალ. კანონი გლეხთა და სოფლელთა და ბატონთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ დ დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა, ნადელის დახსნითა და შესყიდვით საკუთრებად, მთავრობის დახმარებით, ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, ელისავეტპოლისა და ბაქოს გუბერნიებში и Временная инструкція должноснымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе закона 20 декабря 1912 года	30 „
ქყონია ილიას ნაწერები	1 მან.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ექიმი **შ. ა. მიქელაძე.** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებათ** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 ½ … საათ. [illegible] ქ., № 6.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, [illegible] **ტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 191

ექიმი **ქუთაისში** **ვ. თ. ტყეშელაშვილი.**

ამ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; გახსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—4½ ს. **ელისაბედ.** ქ., № 94, კიროჩნის ქუჩის ახლო, საფოსტო [illegible] 103

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მღმაღალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 0 ს.

ა. ნ. დიას მიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1 ½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ 11— 1½ ს.

ექ. ქალი იოსელიან ისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს სამშა ათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს

ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ. ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი. ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით

1053

,,კავკაზი“ დეპ. გელოვანის წინააღმდეგ

ჩვენი ოფიციოზი „კავკაზ“-ი ძალიან გააჯავრა დეპ. გელოვანის უკანასკნელმა სიტყვამ,—იმდენად გააჯავრა, რომ ჩვეულებრივი დარბაისლობა დააკარგვინა და ისეთი კილოთი აალაპარაკა, რომელიც არც მის ოფიციალურ მდგომარეობას შეეფერება, არც გელოვანის მიერ აღძრულ საკითხს. გაზეთი თითქოს ოხუნჯობს, თითქო სერიოზულად ლაპარაკობს; თითქო არსებითად ეკამათება გელოვანს და „მის თანამოაზრეთ“, თითქო სასაცილოდაც არა ყოფნის დეპუტატის „გმირული გამოსვლა“ და აცხადებს—ამაზე კამათი არ ღირსო. ასეთი არევ-დარევა, ასეთი დაბნევა გაბრაზების შედეგი უნდა იყოს, ხოლო გაბრაზება რომ ცუდი მრჩეველია, ეს ყველამ იცის...

რა არის მთავარი მიზეზი „კავკაზ“-ის გაჯავრებისა, ამას ცოტა ქვემოდ დავინახავთ, ახლა-კი ორიოდე სიტყვა „კავკაზ“-ის იმ ბრალდებებზე, რომლებით გაზეთი თავს ესხმის ჩვენს დეპუტატს და რომელნიც წმინდა წყლის „ნედორაზუმენიე“-ს ნაყოფად უნდა ჩავთვალოთ.

თურმე ნუ იტყვით, „კავკაზი“ არ მოელოდა, რომ გელოვანიც იმ ენით ალაპარაკდებოდა სათათბიროში, რა ენით ს.-დ. დეპუტატები ლაპარაკობენ. „პირველსავე გამოსვლაზე თავ. გელოვანმა ისეთივე მელოდიები დაამღერა, როგორიც ბ.ბ. ჩხეიძისა და გეგეჩკორისაგან გვსმენია“. ნეტავი რა მელოდიებია, რომელთა განმეორება არ მოსწონებია ჩვენს ოფიციოზს? ეს ყოფილა „მსჯელობა კავკასიის ნამესტნიკის რეაქციონურ პოლიტიკაზე,—იმ პოლიტიკაზე, რომელიც სრულიად შეეფერება რუსეთის საზოგადო პოლიტიკის თანამედროვე მიმართულებას“. და რა გაჰკვირვებია აქ „კავკაზს“ და რა უნდა ეთქვა სხვა გელოვანს, როცა კავკასიის უმაღლეს მმართველობის პოლიტიკას შეეხო? ნუ-თუ პურიშკევიჩებისა და ზატერიანების სიტყვა უნდა გაემეორებინა და ეთქვა, ნამესტნიკი ლიბერალურ რეჟიმს ამკვიდრებს და რეფორმატურ კურსს მისდევს კავკასიაშიო? ეს ხომ სინამდვილეს არ ემზგავსებოდა და იმავ „კავკაზს“ დასჭირდებოდა ხომ ნამესტნიკის დაცვა, როგორც არა ერთხელ დასჭირებია ეს პურიშკევიჩებთანა და ზატერიანებთან პოლემიკაში. დეპუტატმა გელოვანმა აღნიშნა ის, რაც უეჭველად უნდა აღენიშნა ყოველ კავკასიელ დეპუტატს, რომელ მიმართულების ან ჯგუფის წევრიც უნდა ყოფილიყო;

სახელდობრ ის, რომ ნამესტნიკმა ვერ გაამართლა დაპირებანი და თითქმის ვერც ერთი ის მთავარი რეფორმა ვერ განახორციელა, რომელთაც გვპირდებოდა. რომ ეს სრული სიმართლეა, ამას **თვით ნამესტნიკიც მოწმობს:** გაიხსენეთ მისი ინტერვიუ „ნოვ. ვრ.“-ს თანამშრომელთან წარსულ შემოდგომაზე, როცა ნამესტნიკი გულ-ახდილად აღიარებდა ვერაფერი გავაკეთეო. და ნუ თუ ამას მოწმობა უნდა კიდევ ვისიმე, განა ყველანი ვერა ვხედავთ, რომ მთელ რუსეთში ერთი და იგივე „კურსი“ სწარმოებს: დაპირებულ რეფორმათა სრული მივიწყება და მხოლოდ ერთ რამეზე ზრუნვა, სახელდობრ იმაზე, რომ ყველგან სამარისებური სიჩუმე ჰსუფევდეს და ის გარეგანი დამშვიდება, რომლისთვის ესოდენ მსხვერპლს სწირავს დიდი სახელმწიფო... „კავკაზ“-ი დასცინის კიდეც გელოვანს, სხვისგან ნასესხებ აზრს იმეორებსო. დაცინვა სრულიად უკბილო გამოდის, რადგან ერთიდა იმავე ფაქტის აღნიშვნა სხვისი აზრის განმეორება არ არის. ეს შვიდი წელიწადია რუსეთის პრესსა, საზოგადოება, პარლამენტი ერთსადა იმავეს გაიძახიან—მთავრობამ უკუაგდო 17 ოქტომბრის მანიფესტიო; ეს შვიდი წელიწადია ჩვენი პრესსაც და ჩვენი დეპუტატებიც იმეორებენ—კავკასიის უმაღლესმა მთავრობამაც ვერ აასრულა დაპირებანიო და ვერ აასრულა უმთავრესად იმიტომ, რომ ასეთია ნება პეტერბურგის ცენტრალურ მთავრობისა და გაბატონებულ რეაქციონურ სფერებისა. ეს უტყუარი ფაქტია და რატომ არ უნდა აღენიშნა იგი განმეორებით გელოვანს, ვერ გაგვიგია. ვფიქრობთ, ვერც „კავკაზ“-ი აგვიხსნის ამას და ამიტომ უნდა ვსთქვათ, რომ მთელი ეს გამოსვლა ოფიციოზისა უბრალო სიტყვები და ლათაიებია ადამიანისა, რომელმაც არ იცის, რა სთქვას, ხოლო ვალდებული კი არის სთქვას რამე.

მთავარი მიზეზი „კავკაზ“-ის გაჯავრებისა სულ სხვაა. როგორცა სჩანს, მისთვისაც, როგორც ბევრ სხვისთვის, ავტონომია ყოფილა დიდი საფრთხობელა. მიუხედავად ამისა, მიუხედავად განრისხებისა, „კავკაზ“-ს მაინც არა ჰსურს „პოლემიკა თავ. გელოვანთან“, იგი მხოლოდ ორ სიტყვას ამბობს: „კავკასიის ავტონომიის გახურებულ თავის ოცნებად ვთვლითო“ და „დასძენს: „თავ. გელოვანს, ალბათ, თავისიანებიც დაემდურებიან“, რადგან უდროო დროს გამოსვლით, უტაქტო გამოსვლით საქმეს ცუდი სამსახური გაუწია, ისე როგორც კავკასიელმა ს.-დ. გაუწიეს ცუდი სამსახური რუსეთის ს.-დემოკრატებსაო.

ეს არის და ეს. ადგილობრივ ოფიციოზს ამის მეტი ვერაფერი დაუნახავს საჭიროდ ეთქვა სერიოზულ საკითხზე, რომელიც გელოვანმა წარუდგინა რუსეთის პარლამენტს პირველ თავის გამოსვლის დროსვე. რაც უნდა უდროოთ იყოს წამოყენებული ასეთი საკითხი, მას ანგარიში უნდა გაუწიოს დარბაისელმა გაზეთმა, ნამეტურ იმ გაზეთმა, რომელიც მთავრობის აზრის გამომხატველობას ჩემულობს. რაც უნდა ოცნებად მიაჩნდეს ავტონომია, მაინც მასხრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ასეთს მძიმე საკითხში, რომელსაც ბევრი თანამოაზრე ჰყავს, რომელმაც აამოძრავა საზოგადოებრივი ჯგუფები... აღსანიშნავია, რომ თვით „კავკაზ“-ი არ ყოფილა ყოველთვის ასე აბუჩად ამგდები ყველა ასეთ იდეალებისა და მოთხოვნათა. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ოფიციოზი კადეტების პროგრამას ჰბეჭდავდა თავის ფურცლებზე და ოპოჩინინის ხელმძღვანელობით მხარს უჭერდა წმინდა წყლის ოპოზიციონურს მიმართულებას. იყო აგრეთვე დრო, იმავ ოპოჩინინის ხანაში, როცა „კავკაზ“-იც არ იყო წინააღმდეგი, რომ ნამესტნიკის საბჭო გაძლიერებული ყოფილიყო ერობათა და ქალაქთა მიერ არჩეულის წარმომადგენლებით. ესეც ხომ ავტონომია არის, კავკასიის მხრის თავისებური განსაკუთრებული მართვა-გამგეობა? რასაკვირველია, „კავკაზ“-ი მაშინაც შორს იყო იმ ავტონომიიდან, რომელიც ჩვენ გვინდა და გელოვანი გულისხმობს. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მაშინ გაზეთი სახხუნჯო საგნად არ გადააქცევდა ამ საკითხს. მაგრამ, „დრონი იცვალნენ“ და „ახლანდელი „კავკაზი“ დარიგებას აძლევს პურიშკევიჩებს, მასხარად აიგდეთ გელოვანიც ისე, როგორც ს.-დ. დეპუტატები გყავთ აგდებულიო...

არც ჩვენ გვსურს „კავკაზთან“ კამათი, რაკი მას საკამათო საგნად არ უცვნია დეპ. გელოვანის სიტყვა, მხოლოდ გვინდა უთხრათ ოფიციოზს, რომ მისი დაცინვა უადგილოა; ხოლო მისი გაბრაზება კარგად გვესმის, ისე როგორც კარგად გვესმის შავრაზმელთა „გოლოს კავკაზის“ მუქარა—რუსეთს საკმაო ხიშტები მოეპოვება ავტონომისტების წინააღმდეგო. ეს არის მხოლოდ საჭირო, რომ ორივე გაზეთმა იცოდეს—მარტო ხიშტებზე თავის იმედის დამყარება შეუძლებელია, რომ ხიშტებით ერთგულებისა და მტკიცე ერთიანობის შექმნა და დაცვა შეუძლებელია. [illegible] ბევრია, გაცილებით უფრო ბევრი, ვიდრე გასკონელების სვე-ბედის მაგალითი, რომელსაც ნიშნის გებით მოგვაგონებს „კავკაზი“...

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

22 მაისის სხდომა.

თავ. ვოლკონსკი თავმჯდომარეობს. საფოსტო-სატელეგრაფო მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა გრძელდება.

მურანოვი საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებანი ვერ აკმაყოფილებენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, ფოსტის მოხელენი ფრიად მძიმე პირობებში იმყოფებიან. საჭიროა მოხელე ქალები უფლებრივად გაუთანასწორდნენ მოხელე მამაკაცებს. საფოსტო საქმის უვარგისობა რუსეთის ცხოვრების საზოგადო პირობებით არის გამოწვეული.

დემჩენკო საქმის ცუდ დაყენებაში უწყებას კი არ ჰდებს ბრალს, არამედ მთავრობის საფინანსო პოლიტიკას. არყის მონოპოლიის შემდეგ მეორე ადგილი შემოსავლიანობის მხრით ფოსტასა და ტელეგრაფს უჭირავს. სახელმწიფოს პოლიტიკის თვალსაზრისით ეს სასურველი არ არის. ფოსტასა და ტელეგრაფს ისე არ უნდა უყურებდეთ, როგორც რეგალიას; დროა თავი მივანებოთ საფოსტო დაწესებულებათა წყალობით მცხოვრებთაგან 45 მილიონ მანეთის გამოწოვნას. საფოსტო დაწესებულებანი მცხოვრებთა ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. მოლაპარაკე აღნიშნავს, თუ რა არა ნორმალურ პირობებში იმყოფება ფოსტის გადაზიდვის, ტელეფონის და სხვა საქმე.

საფოსტო და სატელეგრაფო მთავარ სამმართველოს უფროსი აღიარებს, რომ საფოსტო დაწესებულებათა რიცხვი ფრიად მცირეა, მოხელენიც ცოტანი არიან, მათი ჯამაგირიც არ არის საკმარისი, ტარიფის შემცირება საჭიროა. სათათბიროს შეუძლიან დარწმუნდეს, რომ ამ მხრით უწყება არ უმოქმედობს. ამას სათათბიროში შეტანილი კანონპროექტები ჰმოწმობს. რაც შეეხება უწყების ხარჯთ-აღრიცხვას, უფროსი წინააღმდეგია 460.000 მანეთი, რომელიც ტელეფონთა მოსაწყობად არის გადადებული, საფოსტო დაწესებულებათა დაარსებას მოჰხმარდეს. იგი წინააღმდეგია ლელიავსკის სურვილისა, რომელიც საჭიროებად აღიარებს ხაგლეხო საზოგადოება გაანთავისუფლონ საფოსტო დაწესებულებათათვის შენობის აგებისაგან, განათებისაგან და გათბობისაგან. ლელიავსკის აზრით საამისო ხარჯი ხაზინამ უნდა გაიღოს. კადეტთა ფორმულის თაობაზე უფროსი ამბობს: როდესაც მოხელე ქალები პირველად მივიღეთ საფოსტო სამსახურში, მაშინაც დადგენილი იყო, რომ ტელეგრაფზე ის გათხოვილი ქალნი უნდა მიიღონ, რომელნიც ფოსტის მოხელეზევე არის გათხოვილი, რათა ქმრის ავადმყოფობის დროს, ცოლებმა აასრულონ მათი მოვალეობა; მაშასადამე ქალთა მიღება საფოსტო და სატელეგრაფო სამსახურში განსაზღვრული იყო, არა ცირკულიარით, არამედ ძირითადი წესით. ქალთა სამსახურს ტელეგრაფზე უწყება ფრიად აფასებს. პეტერბურგში ტელეგრაფზე 64% ქალი მოხელეა, ბერლინში კი მხოლოდ 3%. გერმანიაში უკვე გაიგეს, რომ მამაკაცთა შრომა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე ქალთა. ესევე ჩვენშიაც არის შემჩნეული. მართალი არ არის, ვითომც მოხელე ქალებს სამსახურიდან ითხოვენ, იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ან სამსახურიდან გავიდა, ან და სხვა უწყებაში შევიდა. პირიქით ცირკულიარში ნათქვამია, მოხელეს ცოლი, რომელიც მსახურებს რამდენიმე წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად, არ უნდა იყოს დათხოვნილი, ვინცობაა ქმარმა სამსახური მიატოვა, ან და გამოიცვალა. უფროსი ეკამათება შინგარევს და აღნიშნავს, რომ ინგლისში სამსახურიდან ითხოვენ ქალებს ქორწინების შემდეგ, რომელთაც უკვე აქვთ მინიჭებული პენსიის უფლება. ეგრევე არის შეერთებულ შტატებშიაც. სატელეგრაფო სამსახური კარგ დაყენებას მოითხოვს, მას უნდა აცილებული ჰქონდეს ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზები. ყველასთვის ნათელია, ქმრიან ქალებს ხან და ხან არ შეუძლიანთ სამსახურში გამოცხადდნენ. გარდა ამისა ქორწინების საკითხს საკანონმდებლო მნიშვნელობა არა აქვს, მას აქვს საუწყებო და საინსტრუქციო ხასიათი. უფროსი მოითხოვს კადეტთა ფორმულის ეს ნაწილი უარჰყოს სათათბირომ.

სათათბიროს სურვილებს უწყება უეჭველად ასრულებს, მას ანგარიშს უწევს ისე, როგორც კანონს. თუ ყველა განხორციელებული არ არის, განხორციელდება, მხოლოდ უფროსი მოითხოვს, გაანთავისუფლონ იგი ქალთა საკითხისაგან, რადგანაც უწყება მის ასრულებას ვერ შესძლებს. რამდენადაც კი შესაძლებელია უწყება ჰსცდილობს, დეპეშები არ დაამახინჯოს და თავის დროზე მიუვიდეს (ტაში მარჯვნივ და ცენტრის ნაწილში).

ევსეევი გლეხთა ჯგუფის სახელით შეაქვს ფორმულა: მოაწყონ რკინის გზის ყველა სადგურზე და სასოფლო სამმართველოებში საფოსტო დაწესებულებანი. ამანათების გასაგზავნი ფასი შეამცირონ, გააუმჯობესონ მოხელეთა უფლებრივი და ნივთიერი მდგომარეობა და სხვ. (ტაში მარცხნით).

ძიუბინსკი. მესამე სათათბიროს ბევრი სურვილი გამოუთქვამს, მაგრამ უწყებას არ დაუკმაყოფილებია. უწყების მესვეურნი აფერხებენ კულტურის და მრეწველობის განვითარებას. ყველა უწყების სამსახურში იმყოფებიან ქალები, მაგრამ არც ერთგან არ სცდილან ის წესები შემოიღონ, რომელნიც საფოსტო-სატელეგრაფო უწყებაში არსებობს. მესამე სათათბირო ერთხმად მოითხოვდა მოხელეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, ამის საპასუხოდ უწყებამ ყოვლად შეუწყნარებელი კანონ-პროექტი შეიმუშავა;

შინგარევი კადეტების სურვილს იცავს. ახალგაზრდა მოხელე ქალებს რომ აუკრძალოთ გათხოვება, ამით უკანონო ქორწინებას შეუწყობთ ხელს. ქალს ექვსი კვირის თავისუფლება უნდა მიეცეს, რათა უზრუნველ ვყოთ მისი დედობრივობა, ამისთვის სათადარიგო მოხელეთა ყოლაა საჭირო.

ხარჯთ-აღრიცხვის მუხლობრივ განხილვის დროს ილაპარაკეს **რისლევმა** და **დოცენკომ**.

სათათბირომ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა საბიუჯეტო კომისიის ვარაუდით. მიიღეს კომისიის ფორმულა ლელიავსკის, გლეხთა ჯგუფისა და კადეტების შესწორებით. კადეტების ფორმულიდან გამორიცხეს მხოლოდ უკანასკნელი მუხლი: საფოსტო დაწესებულებებში სამუშაო დღედ 7 საათი დაწესდეს და ნება მიეცეს მოხელე ქალებს გათხოვდნენ არა იმავე უწყების მოხელე კაცზე. ეს მუხლი უარჰყვეს 109 ხმით წინააღმდეგ 97-სა; სოციალ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს. უკამათოდ მიიღეს ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვა.

ტომაშევიჩი. სახელმწიფო ხაზინის დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვის თაობაზე კითხულობს მოხსენებას. საბიუჯეტო კომისიას ფორმულა შეაქვს: სახელმწიფოს სახსარის სიდიდე, რომელიც საზღვარ გარეთ ინახება არ უნდა აღემატებოდეს ჭეშმარიტ მოთხოვნილებას, და ეს წყაროები უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფო კანტროლის რევიზიას.

ლელიუხინი ოქტომბრისტთა სახელით იცავს ფორმულას და მოითხოვს დაუყონებლივ შემოიტანოს მთავრობამ კანონ-პროექტი, რომლითაც მოისპობა 16 აგვისტოს 1912 წელს მინისტრთა საბჭოს მიერ შექმნილი უსამართლობა სახალხო მასწავლებელთა მიმართ იმ საერობო გუბერნიებში, საცა საპენსიო კასები არსებობს (ტაში ცენტრსა და მარცხნივ).

თავ. მანსირევი აღნიშნავს სახაზინო პალატის და ხაზინის მოხელეთა უმწეო მდგომარეობას და დასძენს, რომ 9 ივნისის 1912 წლის ახალი შტატები საქმეს ვერაფერს უშველის, როდესაც სამეურნეო-საეკონომიო ცხოვრება ასეთის აჩქარებულის ნაბიჯით მიდის წინ. საჭიროა სახაზინო საქმის ძირითადი რეორგანიზაცია, როგორც მოხელეთა ინტერესებისთვის, აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობისთვისაც. მოლაპარაკე აღნიშნავს, თუ სახაზინო საქმე როგორ აჩლუნგებს მოხელეთა გონებას, რა მცირე ჯამაგირს იღებენ მოხელენი; სამსახურის შემდეგაც არ არიან მოხელენი ნივთიერად უზრუნველყოფილნი. საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა, შემოიტანონ საპენსიო წესდება, რომლითაც სამოქალაქო მოხელენი ნივთიერად უზრუნველყოფილი იქნებიან, როგორც სამხედრო მოხელენი.

მარკოვი მეორე აღნიშნავს, რომ უცხოეთის ბანკებში ინახება ნაღდ ფულად 700.000.000 მანეთი. მოლაპარაკეს აზრით, ეს ნიადაგს უმზადებს ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, რასაც სათათბირომ ყურადღება უნდა მიაქციოს.

ვიშნევსკი 1-ის აზრით, საჭიროა ჯამაგირების მომატებაში ერთი განსაზღვრული სისტემით ხელმძღვანელობდნენ. უპასუხებს მანსირევს, რომ სახაზინო პალატის და ხაზინის მოხელენი უფრო მეტს იღებენ, ვიდრე სხვა უწყების მოხელენი.

ფინანსთა მინისტრის ამხანაგი **ვებერი**. სახალხო მასწავლებელთა საკითხის თაობაზე, რომელიც ოქტომბრისტთა ფორმულაში არის აღნიშნული, უკვე, საკანონმდებლო მოსაზრებაა დამზადებული და ოქტომბრისტთა ფორმულას სრულიად ეთანხმება. მინისტრის ამხანაგი დანამდვილებით ვერ იტყვის, იკისრებს თუ არა მთავრობა ამ კანონ-პროექტის შემუშავებას, რადგანაც სათანადო რწმუნებულება არა აქვს. მინისტრის ამხანაგი უპასუხებს მანსირევს. მართალია სახაზინო პალატის მოხელენი მძიმე სამუშაოთი არიან დატვირთული, მაგრამ მათ გასაუმჯობესებლად, რის გაკეთებაც შეიძლებოდა, გაკეთდა კიდეც. საპენსიო წესდების ახალი პროექტი უკვე შეტანილია მინისტრთა საბჭოში და შემოდგომაზე სათათბიროს წარედგინება. ფორმულის თაობაზე მინისტრის ამხანაგმა სთქვა: სახელმწიფოს ფულის შენახვის საქმე უცხოეთის ბანკებში ექვემდებარება სახელმწიფო კანტროლის რევიზიას. სახელმწიფოს ფული უცხოეთის ბანკში იმიტომ კი არ ინახება, რომ სარგებელი აიღოს მთავრობამ, არამედ იმიტომ რომ საშუალება ჰქონდეს მთავრობას გაუსწორდეს თვის მოვალეებს. მინისტრი დაწვრილებით ანვითარებს ამ აზრს და მოჰყავს საჭირო ცნობები.

ამის თაობაზე კამათი იმართება მარკოვსა და მინისტრის ამხანაგის შორის. ხარჯთ აღრიცხვა კომისიის ვარაუდით მიიღო სათათბირომ.

მიიღეს საბიუჯეტო კომისიის ფორმულა ოქტომბრისტთა და მემარჯვენეთა დამატებით. უკამათოდ მიიღეს საადგილ-მამულო გადასახადთა დეპარტამენტის ხარჯთ-აღრიცხვა. მიიღეს აგრეთვე საბიუჯეტო კომისიის ფორმულა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელეთა გადასახადებისაგან განთავისუფლებას შეეხება.

შემდეგი სხდომა 24 მაისისთვის არის დანიშნული.

სახელმწიფო საბჭო

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

22 მაისის სხდომა.

აკიმოვი თავმჯდომარეობს. კერძო სასწავლებელთა კანონ პროექტის მუხლობრივი განხილვა გრძელდება. კამათში მონაწილეობას იღებენ; კომისიის თავმჯდომარე **შვარ-**

ცხოვრება და ხელოვნება

ჩვენი ახალგაზრდა მწერლები

VIII *)

მხოლოდ განახლების, ხალხის სულიერის აღორძინების შემდეგ შესაძლებელი იყო გრიშაშვილის პოეზიის დაბადება. ბედნიერების ხმაზე შესაძლო იყო ყოველთვის ემღერა მგოსანს, მაგრამ განსაკუთრებული დეკორაცია იყო საჭირო მისთვის, რომ იგი ხმა ესდენ ძლიერი ესდენ სწორი და შეუფერავი ყოფილიყო. მხოლოდ განსაკუთრებული გატაცებისა და თავდავიწყების ხანაში უნდა ყოფილიყო ის ხალხი, რომლის მგოსანი, თავის მუზას ესეთის ბედნიერ და მხიარულის ეპიტეტებით შეამკობს. იგი „ყვავილთ ტბაშია“ დაბადებული, „მეოცნებე მოლივლივე“.

„ჰაეროვან კოცნამ შობა,
კოცნამ მისცა ყოველივე
სხივთა ლეჩაქს ჩაეხლართა,
სხივთა ლეჩაქს კოცნით დამდნარს
მთის შიკრიკი, ცელქი სიო
მხიბლავ ზღაპარს ეუბნება
კოცნის სუნთქვამ გამოზარდა.
კოცნამ მისცა ყოველივე
კოცნამ შობა, კოცნა ჩაჰკლავს,
კოცნას თვისი ბედი მისცა“

და ამ სადღესასწაულო, ბუნების საბედნიერო ფერხულში დაბადებული მგოსნის პოეზიის სიმბოლო „კოცნა“ ხდება, ის „კოცნა“, რომელსაც სატანაც კი დაეძებს, ის „კოცნა“, რომელიც „ეძებს სიცოცხლესა“ და მისი ჩანგი—მისი „კოცნა“ ესდენ ძლიერია, რომ

„კოცნა მისი ჰაერს აპობს,
ცის ნამს აშრობს ყვავილთ გულზე,
მთის ღაწვებზე ყინულსა სწვავს
და ფრთასა შლის გაზაფხულზე.“

უნდა დამეთანხმოთ, რომ ამისთანა საბედნიერო, ამისთანა გულ-გახსნილი, სიცოცხლის შეხარულებითა და ნეტარებით აღსავსე ჰანგები ჩვენ პოეზიაში უჩვეულო რამ არის. ეს ლექსი სავსებით ახასიათებს გრიშაშვილის პოეზიასაც. გრიშაშვილი ეროტიულ პოეტად უნდა ჩაითვალოს, ისე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომანტიკოსთა შორის. ეს სახელი სრულიადაც არ შეიცავს არავითარ სამარცხვინოს, არც დასაწუნებელს. ავადმყოფს სხეულს არ შეუძლიან შეიგუოს და შეითვისოს არავითარი საჭმელი თუ არ განსაზღვრულის შემადგენლობისა. იქ სადაც მთელი სახელმწიფო, ხალხი, პიროვნება ერთის პატარა ჯგუფის ქეიფზე არის დამოკიდებული, სადაც ყოველიფერი აბუჩად არის აგდებული, ყოველივე ადამიანური გრძნობა და უფლება შელახულია და მარტო და მხოლოდ ამ ჯგუფის კაპრიზებია დაყენებული საკურთხეველზე, ასეთი საზოგადოება, ასეთი ქვეყანა ავადმყოფსა ჰგავს, რომელიმე მძიმე სნეულით შეპყრობილია. დაავადებული საზოგადოება მარტო და მხოლოდ თავის ტკივილებისას ჰფიქრობს, ამიტომ იგი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს სხვა ნაწილებს თავისის სხეულისას, რომელიც შესაძლოა დროთა მიმდინარეობაში დაჩლუნგდეს, გადაგვარდეს, ანა და ამა თუ იმ გვარად არა ნორმალური სახე მიიღოს.

სიყვარული მეტად დიდი მოვლენაა პიროვნებისა კერძოდ და ადამიანთა კრებულის ცხოვრებაში საზოგადოდ. სქესებრივი ლტოლვა მადლით გაშუქებული იმ კვარცხლბეკზე დამდგარი, რომელიც შეეფერება კულტუროსან ადამიანს, ფრიად დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია. იგი მაჯის ცემაა საზოგადოებისა და კერძო კაცისა, მისგან წარმოდინარეობს ცხოვრება თავისს უფრო ინტენსიურის თვისებებით, და მისგან ეძლევა ელფერი ადამიანის სულისა და ხორცის ვითარებას. იგი ძლევა-მოსილი მექანიზმია სიცოცხლისა, საიდუმლოებით მოცული უკვდავი წყარო მთელის ჩვენის ყოფნისა, ჩვენის არსებობისა. მრავალი სოციოლოგი საზოგადოებრივ ცხოვრების წარმოების სათავედ მასა სთვლიან და თუ ეგეთი ახსნა ცალ-მხრივია, ყოველ შემთხვევაში, უეჭველია ის გარემოება, რომ იგი ერთი უდიდესი მიზეზთა-მიზეზია.

როგორღა არის შესაძლებელი, რომ მას პოეზიამ გვერდი აუხვიოს, რა წარმოსადგენია, რომ პოეტმა მას ზურგი უბრუნოს.

და მართლაც სალირიკო ლიტერატურაში, ლირიკოს მგოსანთა შორის მას უპირველესი ადგილი აქვს მინიჭებული და დიდის ყურადღების საგნად არის გამხდარი.

მაშასადამე ეროტიული ე. ი. სიყვარულის, ტრფობის, მიჯნურობის, მგალობელი პოეტი ყოველის პატივისცემის ღირსია.

დასნეულებულ საზოგადოებას შეუძლია მარტო ასეთი გრძნობა და მისი გამომხატველი აბუჩად აიღოს. მაგრამ ასეთი აბუჩად აღება უპირველესის ორგანოსი შურს იძიებს ხოლმე, საზოგადოების განკურნების ხანაში და თითქმის სიმახინჯემდის მიდის მისი დაკმაყოფილების სურვილი.

სხვა არათი აიხსნება ის საოცარი, გადაჭარბებული განვითარება ეროტიულის ლიტერატურისა რუსეთში, თუ არ იმით, რომ ჯან-საღობაში შესულმა ორგანიზმმა მოითხოვა, ავადმყოფობის დროს უყურადღებოდ მიგდებულ თვისებათა და ლტოლვილებათა სავსებითი დაკმაყოფილება. საზოგადოების გამოფხიზლებამ, სადათას ძილიდან გამოღვიძებამ მოიტანა სიცოცხლის, სიხარულის, ბედნიერების წყურვილი და საუკუნოებით დამშეულმა და დაწყურვებულმა იქნება ძალზედ დაეტანა სასმელსა და საკვებავს.

ამ ხანაში შექმნილი გრიშაშვილის პოეზიაც. ამიტომაც არის, რომ მისი ეროტიზმი სულ სხვა თვისებისაა ვიდრე ალ. ჭავჭავაძისა. ალ. ჭავჭავაძე პირად ქერქში მომწყვდეული იყო, ვინაიდან გაწყვეტილი ჰქონდა კავშირი იმ დროის საზოგადოებასთან, პირად გრძნობებთა დაკმაყოფილებით სცდილობდა თავი აერთო იმ საერთო ტკივილების გრძნობისაგან, რომელიც მას უაღრესად სტანჯავდა, ვითა ნაზ-ბუნებოვან ხელოვანს. მაგრამ აქაც შხამისა და სამსალის მეტს ვერას პოულობდა, მისთვის „სიყვარული უწყალოა“, „რომელმაც ესდენ ძნელად“ დასჭრა, „შვილდნი მისნი იხმარა მისდა საწყლევლად“ და „ჰინდელნი ლესულნი საკვდად განსასვრელად“ მისი ბულბული აშიკით დათრობილია, რომელსაც ეკლიანი ვარდი გულს გაუკაწრავს და მისი სისხლით შეიღებება“. იმ გარემოებაში, იმ ხანაში თვით ის გრძნობა, რომელიც მას მიაჩნია უმჯობესად „ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა“ მისთვის საბედისწეროდ იქცევა და მომწამვლელად.

სულ სხვაა დღევანდელი პოეტი. იგი სიყვარულს—სქესებრივ გრძნობას, ამ სიტყვის უძლიერესის მნიშვნელობით განასაზოგადოებს, მთელ პრინციპად შექმნის და ცხოვრების სარჩულად ამ პრინციპს აღიარებს:

„თვით სატანაც კოცნას ეძებს,
კოცნა ეძებს სიცოცხლესა“.

ამ რამოდენიმე სიტყვაში მთელი ნატურალისტური ფილოსოფიაა გამოთქმული. თვით „სატანა“ ე. ი. ცხოვრების ბნელი მხარე, მისი უარყოფა ეძებს სიყვარულს, ეძებს კოცნას და კოცნა კი და სიყვარული სიცოცხლეს ელტვის, მათი არსებობის მიზანი, მათი საგანი სიცოცხლეა. თვით „კოცნა“ სიმბოლოა ტრფიალებისა, და უნდა ვსთქვათ თვით ამ სიმბოლოს ღრმა მნიშვნელობა აქვს. „კოცნა“ ეს შეხება ორ სქესთა, არის დასაწყისი მთელის სიცოცხლისა. უეჭველია, როდესაც ცხოვრების დასაწყისში ორი სხვა და სხვა სქესის უჯრედი შეერთდენ, რათა დიდის აქტით მიეცათ დასაწყისი მთელის ჩვენის არსებობისათვის, მათი პირველი მოძრაობა, არა რა იყო თუ შეხება, რომელშიაც გამოიხატა ერთმანერთის გამიჯნურების პირველი მაგალითი, რომელსაც მოჰყვა ეს დიდებული ქმნილება, რომელსაც ეწოდება სამყარო.

მგოსნისთვის ცხადია, მან იგრძნო ეს მთელის თავის არსებით, მას ნანად ესმოდა „ცელქი სიოს მომხიბლავი ზღაპარი“ რომელიც ასწავლიდა.

„თუ სამოთხის კოცნამ ვით აღზარდა ეს ბუნება“.

ამაში იხატება მთელი კოსმოგონია, მთელი განმარტება ბუნების წარმოებისა, ბუნების დასაწყისისა. ესდენ დიდი და ღრმა მნიშვნელობა აქვს მისთვის სქესებრ—ლტოლვას. ეს „კოცნა“ მგოსნის მუზისათვის ყვავილოვან, ბედნიერ ცხოვრების სათაურად ხდება: „კოცნის სუნთქვამ გამოზარდა... კოცნამ მისცა ყოველივე“, ცხადია ასეთ პირობებში შექმნილ ქნარს ყოველ შემთხვევაში შეუძლია ბედნიერების ჟღრიამული გაგვაგონოს და სიხარულით აღავსოს ჩვენი არსება, თვით უფრო ტრაგედიულ მდგომარეობაში იგი ყოველთვის იპოვის საბაბს ღიმილისა და კმაყოფილებისას. თავისთავად ცხადია, რაკი გრძნობა სიყვარულისა, ვითა სქესთა შორის უმაღლესის განწყობილების გამომსახველი, ისეთ სიმაღლეზე აიყვანა მგოსანმა, რომ სიცოცხლის დასაბამად იგი აღიარა, სულ სხვა გვარად ეპყრობა იგი საგანს თავის ტრფიალებისას

„ყველას ავიტან, ყველაფერს დასძლევ
გულ მკერდს მიუშვერ თვით მტრისა ლახვარს
ოღონდ შენ, ტურფავ, ჩემო სიცოცხლევ, შენსა მეგობარს
ნუ მესვრი ისარს...
ჰანგებს მომხიბვლელს ყურს ჩაგჩურჩულებ,
შენს ღვთიურს მკერდზე ცრემლად დავდნები,
ოღონდ შენ ტურფავ, ნუ შემიძულებ
ნუ გამშორდები
გემუდარები. („ოღონდ შენ ტურფავ“).

მისთვის უპირველესს როლს თამაშობს ეს გრძნობა, ეს მისი სანუგეშო, გამამხნევებელი, ძალისა და ენერგიის მიმნიჭებელი ღვთაებრივი ცეცხლია.

„ყველას ავიტანო, ყველაფერს დავძლევ... ოღონდ შენ ტურფავ,
ჩემო სიცოცხლევ, შენს მეგობარს ნუ მესვრი ისარსო“.

კიდევ უკეთესად აქვს ეს მნიშვნელობა ამ გრძნობისა გამოხატული ერთადგილს;

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 9 1.

ცი, მომხსენებელი **გურკო, გრიმი, ბარონი ისკული** და **როტვანდი**. **გრიმმა** შესწორებანი შეიტანა რამდენიმე მუხლში. **როტვანდმა** შეიტანა შესწორება მე-17 მუხლში. მუხლი მასწავლებელთა არჩევას ეხება. შემასწორებლის აზრით, საპროფესიო სკოლების მასწავლებელთა სამასწავლებლო ცენზი უნდა შემცირდეს.

სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი ბარონი ტაუბე სრულიად ეთანხმება კომისის მომხსენებლის სიტყვებს და აღიარებს, რომ შესწორების მიღება მთავრობისთვის ყოვლად შეუწყნარებელია; მისი მიღება საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთა რიცხვს ფრიად შეამცირებს.

როტვანდის შესწორება უარჰყვეს. მიიღეს მუხლები მე-11, მე-12, მე-13, მე-14, მე-15, მე-16 და 17-ე. აგრეთვე კერძო სასწავლებლის მასწავლებელთა და სკოლის გამგის არჩევის წესები. ყველა მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს ისკულის მცირე შესწორებითა და გრიმის დამატებით მე-12 მუხლში, რომლითაც კერძო სასწავლებელთა დამაარსებელთ ენიჭებათ უფლება სამოსწავლო მთავრობას წარუდგინონ დასამტკიცებლად სკოლის წესდება.

იხილავენ მე-12 მუხლს: ქრისტიან მოსწავლეთა სკოლების გამგედ უეჭველად ქრისტიანი უნდა იყოს, მართ-მადიდებელ ქრისტიანთა მოსწავლეებისა—მართმადიდებელი ქრისტიანი.

ზინოვიევი მეორე იცავს ოლსუფიევის შესწორებას. ოლსუფიევი მოითხოვს გამორიცხონ მუხლიდან ის ნაწილი, რომელიც მართმადიდებელ მოსწავლეებს ეხება. თუ ამ შეზღუდვას მივიღებთ, მაშინ კერძო სასწავლებელში, მართ-მადიდებელ მოსწავლეებს არ მიიღებენ.

მღ. ტრეგუბოვი წინააღმდეგია შესწორებისა. სკოლამ უნდა აღზარდოს ბავშვი, რაც უსარწმუნოებოდ არ შეიძლება. მართ-მადიდებელი მოსწავლენი მართ-მადიდებელ სარწმუნოებით უნდა აღიზარდონ. სკოლის გამგე სკოლის სულია, იგი უნდა იყოს მოსწავლეთა მაგალითი.

გურკო შესწორების მომხრეა. კომისიის შეზღუდვა ჰზუდავს მართმადიდებელ მოსწავლეებს. რათ უნდა ვიფიქროთ, რომ აგიტაციის გაწევა შეუძლიან მხოლოდ გამგეს და მასწავლებლებს არა?

ოლსუფიევის შესწორება მიიღეს 64 ხმით წინააღმდეგ 64-სა.

კანონპროექტის პირველი განყოფილება, რომელიც ჰსაზღვრავს, რომ კანონპროექტი ყველა კერძო სასწავლებელზე ვრცელდება, რომელიც მთავრობის სასწავლებელთა უფლებებით არ არის აღჭურვილი, მიიღეს გრიმისა და შვარცის შესწორებით. მათი შესწორება შემდეგია: კანონპროექტი არა ვრცელდება იმ კერძო სასწავლებლებზე, რომელნიც უმაღლესად არის დაარსებული და მთავარ წესებს ექვემდებარებიან. მაგალითად, პეტერბურგის და მოსკოვის ქალთა უმაღლესი კურსები.

მეორე განყოფილების თაობაზე **მინისტრის ამხანაგი ტაუბე** ჰლაპარაკობს, რომ ამ განყოფილების კომისიის რედაქციით მიღება წაართმევს სამრეწველო სასწავლებლებს იმ შეღავათიან უფლებებს, რომელსაც ანიჭებდა სახალხო განათლების მინისტრი. მინისტრის ამხანაგს შეაქვს შესაფერი შესწორება.

გურკო ამ შესწორებას მხარს უჭერს. საბჭომ მიიღო მეორე განყოფილება ტაუბეს შესწორებით. კანონ-პროექტის დანარჩენი მუხლები და თვით კანონ-პროექტიც საბჭომ კომისიის რედაქციით მიიღო. კანონ-პროექტი გადაეცა სათათბიროს ხელმეორედ განსახილველად.

თავმჯდომარეობს **გოლუბევი**. საბჭო იხილავს სათევზაო წესდებას. მომხსენებელი **უნტერბერგერი**. კომისიამ შესაძლებლად სცნო წესდება ყველა წყალზე გაავრცელოს, აგრეთვე ახაის ზღვაზე, ბაიკალზე და წყნარ ოკეანეზე; ბალტიის მხარე კომისიამ დიდ მეთევზეობას მიაკუთვნა, სათათბირომ კი მას მცირე ოკეანს აკუთვნიდა. რაც შეეხება ამურ-დარიის მეთევზეობას, კომისიამ სურვილი გამოსთქვა, მთავრობამ ბუხარის ემირთან მოლაპარაკება გამართოს, რათა წესდება ამურ-დარიის მდინარეზედაც გავრცელდეს.

მიწათმოწყობის მთავარ გამგის ამხანაგმა **იგნატიევმა** სთქვა, რომ მთავრობა არ იზიარებს კომისიის აზრს წყნარ ოკეანეს სანაპიროებზედაც გავრცელდეს წესდება, რადგანაც იქ რუსი მცხოვრებნი ნაკლებად არიან და იაპონელნი დაინტერესებულნი არიან მეთევზეობით. განუხორციელებელია კომისიის მოსაზრება რათა წყნარი ოკეანე საკონვენციო და არაკონვენციო ნაწილებად დაიყოს.

შემდეგი სხდომა 29 მაისისთვის არის დანიშნული.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კათოლიკეთა ეპისკოპოსი იოსებ კესლერი** გუშინ ტფილისიდან მანგლისს გაემგზავრა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ დაადგინა. 26 მაისს, დილის 11 საათზე სახალხო სახლში **ლექცია** გამართოს ქართულს ენაზე. წაიკითხავს ექიმი ვ. მუსხელიშვილი შემდეგს თემაზე: „სისხლის მოძრაობა“.

◆ 23 მაისს, კახეთის ქუჩ. რაჭის მაზრის მცხოვრების **იობ ისაკაძის თორნეში** ანთებული ლამპა ჩაუვარდნილა და თავზე დასცემია ისაკაძეს, რომელსაც მთელს ტანზე მოსდებია ცეცხლი. უბედური ქუჩაში გამოვარდნილა მაშველის სახმობად. იქვე შემთხვევით გავლილს უბნის ზედამხედველს შეუნიშნავს უბედური, მივარდნია ცეცხლმოკიდებულს შემოუგლეჯია მისთვის ტანისამოსი და ნოხი შემოუხვევია ტანზე. დაშავებული არამიანცის სახელობის საავადმყოფოში გაუგზავნიათ. მისი მდგომარეობა საშიშია.

◆ ქალაქის საბჭოს ხმოსნები დღეს, ნაშუადღევის 5 საათზე, **ვერის პარკს** დაათვალიერებენ, რომლის გასაფართოვებლადაც განზრახულია ქ ნ ტურკოვსკის მიწის ყიდვა.

◆ **მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის** კურთხევა დღეისთვის არის დანიშნული.

◆ 13 მაისს, იორის ქუჩ. მცხოვრებმა, მეორე გილდის ვაჭარმა მიხეილ აბრამოვმა განუცხადა მაძებარი პოლიციის განყოფილების უფროსს, რომ აბრამოვის სავაჭროში მოსამსახურემ ნერსეს არაქელოვმა წაიღო დუქნის გასაღები და საღლაც მიიმალა. დუქნის დათვალიერების შემდეგ პატრონს გამოურკვევია საქონლის დანაკლისი 1466 მან. აბრამოვის ეჭვით, ეს საქონელი სხვა და სხვა დროს მოუპარავს დამალულ მოსამსახურეს.

◆ 22 მაისს, ტფილისის მცხოვრები პეტრე ლევილოვი მთვრალი მისულა შინ და თავის ცოლისთვის ჩხუბი აუტეხნია; გამწარებულ ცოლს ქმრისთვის დანა უსვრია და სახესა და მარცხენა ხელში დაუჭრია.

◆ **ცოცხლივ დამარხული**. 21 მაისს, საღამოს 8 საათზე, ხარფუხ'ი საშინელი საცოდაობა დატრიალდა. ამ დღეს წყაროზე, რომელიც კლდეშია, წყლის წასაღებად მივიდა სიღნაღის მაზრის სოფელ შიბლიანის მცხოვრები ილია ზირაქიშვილი. კლდე უცებ გამოინგრა და ქვეშ მოიტანა ზირაქიშვილი. დაუყოვნებლივ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, მაგრამ კაცის ამოყვანა ვერ შესძლეს, რადგანაც ბნელოდა და ამასთანავე საშიში იყო მისვლა კლდესთან, რომელიც კიდევ ინგრეოდა. მეორე დღეს კლდის თხრას შეუდგნენ და დასახიჩრებულ კაცის ცივი გვამი მხოლოდ გუშინ ამოიღეს კლდიდან. ზირაქიშვილს დარჩა ავადმყოფი ცოლი და წვრილშვილი.

◆ კვირას, 26 მაისს, დაიწყება და გაგრძელდება სამი დღის განმავლობაში, ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლაში **გამოფენა მოწაფეთა ხელსაქმისა**. დამზადებულია მრავალი თეთრეული, კაბები, „ბლუზები“ ნაქარი გვირისტით, მძივით, ბავშვების საცვლები და კაბები, იმედია, ქართველი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ამ გამოფენას და დაათვალიერებს მოწაფეთა ნაშრომს.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შენობის** საბოლოო პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შეადგინა საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის ხუროთ-მოძღვარმა მ. ნ. ნეპრინცევმა. პროექტით შენობა სამ-სართულიანი უნდა იყოს. შიგ მოთავსდება ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველო და მოსამსახურეთა ბინები. შენობა ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით 700,000 მან. დაჯდება.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 22 მაისს მოხდა თ-დ დ. გ. ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა ს. ციციშვილის მოხსენება, რომლის შინაარსიც მკითხველთ უკვე იციან. ბ-ნი ციციშვილი მოხსენებაში აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მინერალური სიმდიდრე გამოკვლეული არ არის. კრებაზე გამოითქვა ორი აზრი: დაარსდეს დამოუკიდებელი გეოლოგიური საზოგადოება, ან დაარსდეს სამეურნეო საზოგადოებასთან საგეოლოგიო სექცია. საკითხის საბოლოო გადაწყვეტა კრებამ მიანდო საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან ბ-ნნი: რცხილაძე, ყაზახაშვილი, ვაწაძე და ქურდიანი.

◆ **ნაძალადეველთა კრება**. კვირას, 2 ივნისს, ნაძალადევის თეატრში, ნაშუადღევის 3 საათზე, ნაძალადევის სახლის პატრონთა კრება მოხდება. კრება მსჯელობას იქონიებს იმის თაობაზე, რა სახელი დაერქვას „ნაძალადევს“, განზრახვაა, დაარქვან „ვაგზლის გაღმა მხარე“.

სასწავლებლებში

◆ **ყრუ-მუნჯთა სკოლაში** (ალექსანდრეს ქუჩა, № 47) 26 მაისისათვის, ნაშუადღევის 12½ საათზე, მოსწავლეთა გამოცდაა დანიშნული. გამოცდაზე დასასწრებლად მიწვეულნი არიან სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელნი.

სასამართლო

◆ **წესიერ დასვენების** სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ე. გ. ლომიძემ ოქმები შეუდგინა თამამშევის ქარვასლაში მოვაჭრეთ: არუთინიანცს, ფირცხალაის, ბერიაშვილს, გულულიანცს, ნასიბოვისას, მურადოვს, აბოვიანც და უშტროვისას. ამ პირთა საქმე გუშინ მეორე სამომრიგებლო განყოფილებაში გაირჩა. მოსამართლემ ნასიბოვისა 10 მან. დააჯარიმა, დანარჩენები—სამ-სამის მანეთით.

ბაქო

◆ 17 მაისს დაიწყო აქ საჯარო ვაჭრობა სახაზინო ნავთიან ადგილების იჯარით გასაცემად, სულ გასაცემია 29 ნაჭერი. ხუთი-ექვსი წელიწადი მოელიან ნავთის-მრეწველნი ამ ადგილების აღებას, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეხლაც არა გამოვა რა. ხმა დადის, რომ, ზოგიერთ ფორმალურ წესის დარღვევის გამო, ვაჭრობას გააუქმებენო. ამ ვაჭრობამ მთელი ბაქოს ნავთის-მრეწველნი დააინტერესა, ოთხასამდე კაცი იღებს მონაწილეობას. ვაჭრობაში მონაწილეობისთვის ამათ დიდძალი ფულის შეტანა მოუხდათ—ოცდა ხუთ მილიონ-მანეთზე მეტი. საქმე იქამდე მივიდა, რომ კერძო ბანკებს ფული არ ეყოთ და სახელმწიფო ბანკს მიმართეს.

თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

(შემდეგი *)

თ. დ. ჩოლოყაშვილი. ბოქაულების სტატისტიკა გუბერნატორის ანგარიშებშია შეგროვილი, ჩვენ კი აღებული გვაქვს ცნობები, ხარჯის ამკრეფ ინსპექციისა, სააქციზო უწყებისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისაგან და სხვ. ეს ციფრები გაცხრილულია და მინიმუმამდეა მიყვანილი ახალი რკინის გზების კომისიის მიერ, რომელმაც დაამტკიცა, რომ კახეთის რკინის გზის აქციებს დივიდენდი ექნებათ 1,93%, მოძრაობის დაწყების პირველსავე დღიდან, როგორც სწორედ აღნიშნა აქ თ-დ ი. ბარათაშვილმა.

გვეკითხებიან, რადა სთანხმდებიან ბანკები ასე ადვილად ჩვენთვის 5500 ცალი აქციის გამოცემაზე? ალბად იმიტომ, რომ ეს აქციები იმდენად მცირე ფასიანია, რომ ბანკებს ისინი არ აინტერესებსო? უპირველეს ყოვლისა, ბანკები კი არ სთანხმდებიან, ჩვენ დავიყოლიეთ ისინი, რადგან ეს ჩვენი უფლება იყო, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ ძირითად ხელშეკრულებაში; და ყოველ ღონისძიებას ვხმარობდით, რომ მათ შეესრულებინათ დაპირება, რომელიც 1912 წ. 1 მაისიდან მათ მოუხეშავად დაარღვიეს. შემდეგ კვლავ ხაზს ვუსვამ იმ გარეობას, რომ იმ საქმის აქციები, რომლის საობლიგაციო კაპიტალი 81 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილია მთავრობის მიერ, ბირჟაზე 80 მანეთ ნაკლებ არ ღირება. ეს გამოარკვია ჩვენი თავმჯდომარეს თ-დ კ. ნ. აფხაზის პეტერბურგში ყოფნის დროს ბევრმა საუკეთესო ფინანსისტმა, რომელთანაც მას არა ერთხელ ჰქონდა საუბარი. ამავე გარემოების დასამტკიცებლად გამოვაქვეყნებ საფინანსო კომისიის წევრის ვ. რ. ყიფიანის აზრს, რომელიც ჩაწერილია მოხსენებაში კომისიისათვის, სადაც იგი ეხება საკითხს, აქციების შესაძენად უტკივლოდ 55,000 მანეთის გამოძებნას. აი რასა სწერს იგი სხვათა შორის ამ მოხსენებაში: „ნათქვამიდან ცხადადა სჩანს, რომ იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც გზას ზარალით აწარმოებენ, როდესაც მას არ ძალუძს საზოგადოების ობლიგაციების პროცენტების გასტუმრება და, მაშასადამე, როდესაც ხაზინას უხდება ამ ობლიგაციების კუპონების გამოსასყიდად თანხის გაღება, ამ შემთხვევაშიაც კი აქციების პატრონებს ზოგი შემოსავალი აქვთ. წმინდა შემოსავლის ასეთი განაწილების მიზანი ყველასათვის ცხადია: მთავრობას მშვენივრად ესმის, რომ რკინის გზები წარმოების პირველ წლებში ადვილად შეიძლება კარგი შემოსავლიანი არ იყოს; ამიტომ მთელი შემოსავლის გადიდება ობლიგაციების პროცენტების დასაფარავად იმისი ნიშანი იქნება, რომ აქციებს თავიდანვე ფასი დაეკარგებათ და ამით, რასაკვირველია, რკინის გზის საქმეში კერძო ინიციატივა მოისპობა. ჩემის მხრით დავუმატებ, რომ 1905 წლის 10 ივნისის კანონით, რომელიც ეხება რკინის გზის საქმეში კერძო ინიციატივის ხელის შეწყობას, არ არის ისეთი რკინის გზის საქმე, რომლის აქციები, აშენების დროსაც კი al-pari-ის დაბლა ფასობდეს. დღეს აქ თ-დ ი. ბარათაშვილი ამტკიცებდა, რომ კახეთის რკინის გზა უსარგებლო იქნება, რადგანაც ბევრი სოფელი გვერდზე დარჩა, და ლიანდაგი მჭიდროდ დასახლებულ ადგილებიდან ისე არის დაშორებული, რომ არა მგონია, ვინმემ ბარგი მიიტანოს იქამდეო. ეს არის საქმის ვითარების სრული უცოდინარობა. კახეთის რკინის გზის ლიანდაგი ალაზნის ველში სახლებს ანგრევს, სჭრის ვენახებს და ისე შუაგულ გადის ყველა სოფელში, რომ მცხოვრებნი უკმაყოფილებას აცხადებენ დროებითი ზარალის გამო. რაც შეეხება იორის ველს, აქ კი გზა მთების ძირში გადის, რომელთა ხეობებში მაღლობებზე გაშენებულია ჩვენი სოფლები. მართალია, გზა ასცდა ლილოს, მარტყოფსა და ნორიოს, რომელნიც ტფილისიდან 12—18 ვერსზე არიან დაშორებული, მაგრამ ეს სოფლები სულ ერთია არ ისარგებლებდნენ რკინის გზით, რადგან ამ მანძილზე ისინი მუდამ არჩევენ ბარგის ურმით გადაზიდვას. ლიანდაგის ასეთმა დაცილებამ, თავ. ი. ანდრონიკაშვილის ბედნიერი აზრით, შეძლება მოგვცა კახეთის რკინის გზა 18 ვერსით შეგვემოკლებინა. (გაგახსენებთ, რომ ასაშენებელი ფასი კახეთის რკინის გზის ერთი ვერსისა ღირს 74 ათასი მანეთი).

აქვე თავ. ი. ბარათაშვილი გვიმტკიცებდა, რომ საკომერციო საქმეში ეთიკას ადგილი არ აქვსო. მე არ ვიცი ისეთი საქმე, სადაც ეთიკური მხარე გვერდზედ იყოს გადაყენებული. ჩვენ საქმეში კი ეთიკურ მხარეს ანგარიში უნდა გაუწიოთ, რადგანაც ჩვენი საქმის გამო ძალიან ბევრი ხალხი შევაწუხეთ და საქმეც ჩვენის სურვილისამებრ მოვაწყეთ. აქ, როგორც საფრთხე, წამოაყენეს ის გარემოება, რომ დამატებითი აქციების გამოშვების დროს, ჩვენ არ გვექნება ხმების უმრავლესობა. (აქციები). მე ვიმყარები კახეთის რკინის გზის ამშენებლის თანაშემწის თავ. გ. თუმანიშვილის ოფიციალურ წერილს, რომელიც გამოგზავნილია გუბერნიის წინამძღოლის თავ. კ. ნ. აფხაზის სახელზე უკანასკნელს შეკითხვის გამო. გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, კრებას გააცნოთ წერილის შინაარსი. (მიმართავს თავმჯდომარეს). ამ წერილიდამ დაინახავთ, რომ, თუ ვინიცობაა გადამეტებული ხარჯი მოხდა აშენების დროს, ეს ხარჯი ადვილად დაიფარება, ერთი რომ გზაზე დროებით მოძრაობის შემოსავლიდან, მეორეც, ეკონომიიდან, რომელიც იმ გარემოებაში შესდგება, თუ გზის აშენება 3 წლის ვადაზე ადრე დამთავრდება რამდენიმე თვით: ასაშენებელ კაპიტალიდან დარჩება თანხა 320 ათასამდე და აგრეთვე საობლიგაციო თანხის პროცენტები გაიხადონ შენების დროს“.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანი კითხულობს თავ. თუმანიშვილის წერილს, რომელიც ამტკიცებს თავ. ჩოლოყაშვილის მიერ ზემოდთქმულს.

აქ დღეს ა. ყანჩელმა საჭიროდ დაინახა აღენიშნა, რომ ჩემ განკარგულებაში მყოფი სიღნაღ-ბაქოს გზის ჟურნალი აჭრელებულია უაზრო შენიშვნებითაო. დიახ, ეს მართალია. და რათა დაგიმტკიცოთ, რომ ჟურნალის დახასიათებაში მე არა ვსცდები, ა. ი. ყანჩელის ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებ და წავიკითხავ ამ ჟურნალის ოთხ მწკარს, მისს უმთავრეს საფუძველთაგანს. ვკითხულობ მე-18 გვერდზე. „დიასახლისების მქუხარე დემონსტრაციებმა საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრო-ჰუნგრეთში და ჩვენსას—რუსეთში, რომელიც აღმოცენებული იყო როგორც პროტესტი სხვა და სხვა სანოვაგის ფასის ძლიერ აწევის ნიადაგზე, ცხადად გვიჩვენებენ, რომ ამ სანოვაგეზე დიდი მოთხოვნილებაა და შემდეგში მათი გასაღება უზრუნველყოფილია“. ამ კრების განმარტება საჭიროდ არ მიმაჩნია.

წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორ ჰქონდა თავ. ი. ბარათაშვილს დაზეპირებული თავისი ციფრები, როდესაც დღევანდელ კრებაზე მოდიოდა, და რა გამოდგა? მან დაამტკიცა, რომ საგანი არა აქვს შესწავლილი და აი დღესაც ბევრი ოპონენტთაგანი კრებიდან წავიდნენ, ხვალ კი წინააღმდეგს გამოსთქვამენ და წინააღმდეგ აზრის დამტკიცებას შეეცდებიან. შესაძლოა განა ასეთ პირობებში წესრიგიანი, მიუდგომელი მუშაობა? ეხლა, რასაკვირველია, ადვილი გასაგებია ჩემი მოუთმენლობა, რომელზედაც დღეს აქ გითითებდნენ. გადავდივარ პ. გედევანიშვილის შენიშვნაზე. მან მისაყვედურა, ჩოლოყაშვილი ამტკიცებს, ახალი რკინის გზების კომისიამ კახეთის რკინის გზის გეგმაში ციფრები შეამცირა, სიღნაღ-ბაქოსი კი, პირ-იქით გაადიდაო. ადვილად გასაგებ თავაზიანობის გრძნობის გამო მე არა მსურდა გამოვსულიყავ ამ ჩემი დებულების დასამტკიცებლად.

თავმჯდომარე. ჰო და ნუ[illegible] მოხვალთ.

თავ. **დ. ჩოლოყაშვილი**. ეხლა კი უკაცრავად, მე იძულებული ვარ ასე მოვიქცე. მომყავს ციფრები ორივე გზის ჟურნალებისაგან.

კახეთის რკინის გზა:

კონცესიონერების გამოანგარიშებით

გაზიდვა.	ათასი ფ.
ღვინო ჭურჭლით (15% ბარგ.)	3,539
ჭაჭის არაყი	86
მატყლი	220
ტყავეულობა	130
დანარჩენი ბარგი	1,855
სულ	11,437
შემოსავალი	1,116,719

თივა 1,500 ფუთი სრულიად წაშლილია.

კომისიის გამოანგარიშებით:

	ათასი ფ.
ღვინო ჭურჭლით	2650
არაყი „ „	75
მატყლი „ „	150
ტყავეულობა „	100
დანარჩენი ბარგი	1000
სულ „ „	8582
შემოსავალი „	847.143

შემოზიდვა:	ათასი ფ.
ხორბალი „ „	2,061
შაქარი „ „	120
რკინეულობა დ მანქ.	300
ნავთი „ „	250
ფართლეულობა „	180
სულ „ „	3,815
შემოსავალი „	305,596

კომისიის გამოანგარიშებით:

ხორბალი „ „	2000
შაქარი „ „	57
რკინეულობა „	53
ნავთი „ „	92
ფართლეულობა „	49
სულ „ „	3,702

შემოსავალი 305,596 ათასი მან.

სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა:

შემოსავალი მანათობით.

კონცესიონერების გამოანგარიშებით:

გაზიდვა:	
ბრინჯი „ „	113,643 მან.
ბამბა „ „	117,375 „
ბამბის კურკა	76,813 „
თამბაქო „ „	5,261 „
ძირტკბილა „	44,917 „
ბამბა „ „	19,725 „
ტყავეულობა	7,825 „
ხორცი, ნანადირევი	14,475 „
რძის სანოვაგე	10,350 „
კაკალი „ „	53,900 „
სხვა-და-სხვა ბარგი	230,478 „
ხე-ტყე	245,567 „

კომისიამ ეს ციფრები ასე გაადიდა:

ბრინჯი „	125,944 მან.
ბამბა „ „	124,179 „
ბამბის კურკა	94,692 „
თამბაქო „	15,975 „
ძირტკბილა „	48,375 „
მატყლი „	27,850 „
ტყავი „	12,150 „
ხორცი, ნანადირევი	14,700 „
რძის სანოვაგე	11,878 „
კაკალი „	111,400 „
და სხვა და სხვა ბარგი	323,667 „
ხე-ტყე	369,602 „

კონცესიონერების გამოანგარიშებით:

შემოზიდვა:	
ხორბალი „	267,415 მან.
ფქვილი „	87,956 „
მარილი „ „	21,060 „
ფართლეულობა	26,738 „
აბრეშუმის პარკი	17,700 „
და სხვა და სხვა.	
ნავთი „ „	0 „
ქვანახშირი „	0 „
ნახშირი „ „	0 „
არაყი „ „	0 „
აგური „ „	0 „
საპონი „ „	0 „
სულ „ „	710,557 „

კომისიამ კი ასე გაადიდა:

ხორბალი „	270,941 მან.
ფქვილი „ „	94,534 „
მარილი „ „	34,594 „
ფართლეულობა	27,425 „
აბრეშუმის პარკი	41,137 „
და სხვა და სხვა.	
ნავთი „ „	52,864 „
ქვანახშირი „	11,280 „
ნახშირი „ „	2,719 „
კარტოფილი „	4,132 „
არაყი „ „	13,395 „
აგური „ „	1,700 „
საპონი „ „	7,497 „
სულ „ „	877,832 მან.

აი ჩემი განმარტებანი, რომელსაც ეგრე ერიდებიან ჩემი ოპონენტები. კრება მეორე დღისათვის გადაიდო.

ქალთა სასწავლებელში

ქალთა სასწავლებლის სამზრუნველომ შემდეგი შინაარსის მოხსენება წარუდგინა ქართული გიმნაზიის გამგე კომიტეტს.

1) ქართველობა უმთავრესად მიწათმფლობელი და მიწათ მომქმედი ხალხია. მას ქალაქში ცხოვრება არ უყვარს, გული სოფლისკენ აქვს, თავის მიწას ეტანება. ამ ჟამად, როდესაც ცხოვრებას ბევრი ახალი მოთხოვნილება აქვს, ხალხი არა კმაყოფილდება სოფლის უბრალო მოუწყობელ ცხოვრებით, რითაც წინათ კმაყოფილდებოდა. მას მეტი მყუდრო და ლაზათიანად მოწყობა სჭირდება.

„როს შევიქმნები უვიცთა მსხვერპლი,
და მოვაკლდები სამშობლო მხარეს
როს გრიგალ-ქარი ზარით-ღრიალით
ულეთოთ გამითხრის შავ ბნელ სამარეს
სატრფოვ გულისავ, გემუდარები,
მომძებნე ბრძოლის ველზე მდებარე
და მომიგონე შენი ერთგული
ზედ დამაფრქვიე ცრემლი მდუღარე
(„როს დაღამდება, წყვდიადი ბნელი“*.)

გაიხსენეთ აბა ბარათაშვილი, მისი უსასოება იმდენზე რადიკალურია, რომ იგი სატრფოსაც უარჰყოფს:

„ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხრის სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა, ობოლსა დამეცემიან ციურნი ცვარნი“.

გრიშაშვილი კი ამა სოფლის უმადურებასა და უბედურებას სწორედ სატრფოს „მდუღარე ცრემლით“ უპირებს გამკლავებას. ნურავინ ვიფიქრებთ, რომ აქ მგოსანი ერთი ისეთი ვინმე იყოს, რომელიც ყოველიფერს დასთმობს „კოცნისთვის“ თავის „მეს“, თავის ადამიანობას. სრულიადაც არა, მაგრამ ტრაგიზმი ცხოვრებისა მას შეუძლია შეიმსუბუქოს სატრფოს ცრემლით, ვინაიდან იგი სიყვარულს ფრიად მაღლად აყენებს, ვინაიდან იგი დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ გრძნობას, არა ერთხელ მიმართავს იგი მას, ვით უკანასკნელ ნავთ სადგურს, ვითა ნუგეშის ერთ ერთ საყუდელს

„სატრფოვ! სიცოცხლევ! მომხედე ბედკრულს,
გამომიწოდე ხელი მთრთოლვარე
და მრავალ ტანჯულს ობოლს, შენს ერთგულს,
კოცნით შემიშრე ცრემლი მდუღარე („სატრფოვ სიცოცხლევ!)“.

ემუდარება იგი „სატრფოს სიცოცხლეს“ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მას, რომ მგოსანს მარტო საგანი მისი სიყვარულისა აინტერესებდეს ცხოვრებაში, ხოლო იგი „ბედკრული“, აქ ეძიებს მეგობარს, გამამხნევებელს, ცრემლის შემშრობელს და მას იმეორებს იგი არა ერთხელ, მრავალ ჩინებულ ლექსში

„თუმც სატრფოვ, ჩემთვის მზე არც კი მზეობს...
თუმც გაზაფხულსა და ფრინველთ ჟღივილს
კვლავ ვეგებები ცრემლით მწუხარე....
თუმც ობლად შთენილს, ყვავილსგანდევნილს....
ყვავ-ყორანთ ხროვა თავსა დამჩხავის;
შენ ნუ გეშინის... შორს გადასტყორცნე,
შთანთქე უფსკრულში შავი ფიქრები
და გრწამდეს მარად, რომ იმ სოფელშიც
შენ მეყვარები... შენი ვიქნები!
(„ჩემს სატრფოს!“)

კიდევ და კიდევ ყოველივე სიმწარეში, ყოველივე დაბრკოლების დროს, ყოველ ტანჯვის დროს, იგი პოულობს ერთ ყავარჯენს და ეს არის წმინდა გრძნობა სიყვარულისა, რომელსაც მარადისობის სახესაც კი აძლევს „იმსოფელში შენ მეყვარებიო“.

კოტე აბაშიძე

(შემდეგი იქნება)

---

*) როგორც შანშიაშვილისა ისე გრიშაშვილის ნაწარმოებთა განხილვა მეტად ძნელდება, ვინაიდან არა გვაქვს მათი ლექსთა კრებული. გრიშაშვილმა პატივი მცა და მათხოვა რვეულები, სადაც შეკრებილი აქვს თავისი ლექსები, მაგრამ რასაკვირველია ესეც ვერ გამიწევდა ლექსთა კრებულის მაგიერობას.

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 901.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ერის ხალხი ამ გვარ ცხოვრებისთვის სარჩოს საშოვრად ზოგი ვაჭრობასა ჰკიდებს ხელსა, ზოგი ხელოსნობას იწყებს და სხვა და სხვა. ქართველი ხალხი კი მარტო მიწას ეტანება, მითი ირჩენს თავსა, მაგრამ ეს მისთვის ძნელია რაციონალურ მიწათ-მოქმედებისთვის სუსტი მომზადებისა გამო. ამ შემთხვევაში დედაკაცს მშვენივრად შეუძლიან ხელი მოჰკიდოს შინაურ მეურნეობას. მას თამამად ძალუძს მებოსტნობის, ხილის მოყვანის, აბრეშუმის და ფუტკრის გაჩენის, ფრინველის და სხვა სასოფლო სამეურნეო დარგების გაძღოლა. რა რიგ სარგებლობას მოუტანდა ის ამით თავის ოჯახის ცხოვრების წესწყობილებას!

2) მთელი ჩვენი ახალგაზრდობა გონებრივად, ხორციელად და ზნეობრივად იტანჯება-უმეტეს შემთხვევაში იმის გამო, რომ ჩვენში შინაური აღზრდა არ არის. შინ ბავშვის წესიერ განვითარებაზე ფიქრისთვის არავის სცალიან. დედას ამ საგნის საჭიროება ან სრულებით არ ესმის, ან თუ ესმის კიდეც, მომზადება აკლია თავის მოვალეობის კეთილ სინდისიერად ასასრულებლად. და ამ დროს, ჩვენის ხალხის დღევანდელ მდგომარეობაში, რა დიდათ საჭირონი არიან მომზადებული დედები, ვის კეთილ-გავლენის ქვეშ აღიზრდებოდა ჩვენი ახალთაობა! რა ნაირად გვჭირიან ისეთი დედები, რომელთაც შესძლებოდათ თავის შვილების აღზრდა და გრძნობათა კეთილად წარმართვა, ამიტომ დედაკაცი უნდა იყოს აღმზრდელი ამ სიტყვების ფართო მნიშვნელობით.

3) სხვა განათლებულ ქვეყნებში დედაკაცმა უკვე იჩინა თავი საზოგადო ასპარეზზე, მწერლობაში, მასწავლებლობაში, იდეების ქადაგებაში და მისი გავლენა ამ ასპარეზზე მართლაც რომ დიდი არის. ჩვენ უფლება არა გვაქვს ავაცდინოთ ამ გავლენას ჩვენი საზოგადოება, მოვუსპოთ ჩვენებურ ქალებს ამ ასპარეზზე მოქმედების საშუალება. დედაკაცს უნდა ესმოდეს საზოგადო საკითხები, საზოგადოებრივ ცხოვრების შეგნებულად ანგარიშის გაწევა უნდა შეეძლოს. სხვა არა იყოს-რა საზოგადო საკითხების უცოდინარს დედაკაცს არ შეუძლიან გონიერი დედა და ქმრის ნამდვილი მეგობარი იყოს.

4) ქალი, როგორც დედა და როგორც ცოლი, მოვალეა თაოსანი და გონიერი დიასახლისობა გასწიოს. მასზეა დამოკიდებული მთელი ოჯახის კვება. მერე ვინ არ იცის რა გავლენა აქვს კარგს სმა-ჭამას ბავშვების ფიზიკურ განვითარებაზე, მოზრდილთა ჯანმრთელობაზე. ამიტომ მან მეცნიერულად უნდა იცოდეს მზარეულობა, ე. ი. უნდა იცოდეს, რა და რა საჭმელი რა და რა გავლენას ახდენს სხეულზე, რომელი შემადგენელი ნაწილი საჭმლისა უფრო სასარგებლოა (ამიტომ მან უნდა შეისწავლოს საჭმლის გავლენა სტომაქზე, ე. ი. კვების ფიზიოლოგია). დედაკაცს უნდა ესმოდეს წმინდა ჰაერის და საზოგადოდ სისუფთავის სხეულზე გავლენა, თავის ოჯახი სრულ სისუფთავეში უნდა ჰქონდეს, ამისთვის საჭიროა ფიზიკური მუშაობა. ამიტომ უნდა ვეცადნეთ ჩვენი ქალები ფიზიკურ შრომას შევაჩვიოთ. გარდა ამისა ქალმა ჭრა-კერვაც უნდა იცოდეს.

5) დედაკაცმა ხელოვნებაც უნდა იცოდეს, მაგალითად: სიმღერა, მუსიკა, ხატვა და სხვა, რადგან ეს საგნები აფაქიზებენ, აკეთილშობილებენ ადამიანის ხასიათს.

ყველა ამ მოსაზრების გამო იმ აზრს დავადექით, რომ ჩვენთვის საჭიროა ისეთი ქალთა სასწავლებელი, რომელსაც შეეძლოს ჩვენთვის ზემოაღნიშნული ქალთა აღზრდა. განზრახულ სასწავლებლის პროგრამმა არსებულ გეგმებით (პროგრამებით) შეზღუდული არ უნდა იყოს, მას თავისებური ხასიათი უნდა ჰქონდეს იმ მოთხოვნილებების მიხედვით, რასაც ვუდგენთ სასწავლებელს. მთელი გეგმა ხუთ განყოფილებად უნდა განიყოფებოდეს:

1) საზოგადო განმანათლებელი საგნები.
2) აღმზრდელი ქალის მომმზადებელი საგნები.
3) სასოფლო სამეურნეო საგნები.
4) სამეურნეო საგნები.
5) ხელოვნება.

ზოგად განმანათლებელი საგნები: ანგარიში, ფიზიკა, გეოგრაფია, მსოფლიო ისტორია, მსოფლიო მწერლობა, ბუნების მეტყველება, სამღვთო სჯული. ფრანგული ენა.

აღმზრდელ ქალის მომმზადებელი საგნები:

ფიზიოლოგია, ჰიგიენა, პედაგოგიკა.

სასოფლო სამეურნეო საგნები:

მერძევეობა, მეფუტკრობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, ფრინველთ მოშენება, მებოსტნეობა და სხვა.

სამეურნეო საგნები:

მზარეულობა, ჭრა-კერვა.

ხელოვნება:

სიმღერა, მუსიკა, ხატვა და სხვა.

ყველა ამას საფუძვლად უნდა ედოს: სამშობლო ენა, სამშობლო მწერლობა და ისტორია.

ეს სასწავლებელი შესდგება სამი განყოფილებისაგან და ექვსი კლასისაგან.

ქალთა სასწავლებლის სამზრუნველოს თავმჯდომარე: **მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა**

მოწერილი ამბები

თიანეთის მაზრა. ისეც არ იყო ძმარიო, ზედ დაუმატეს წყალიო. ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია თიანეთის მაზრაზედ. ყოველივე მხრით დაქვეითებულ და ჩამორჩენილ თიანეთის მაზრას წელს ზედ მოჰყვა სტიქიური უბედურებაც. თითქმის პირველი მაისიდგან სულ გაბმული წვიმა და თავსხმა არის. გამოიდარებს რამდენიმე საათით და მალე ისევ ქუხა-ქუხილი ასტყდება. ამის გამო წყლები შესამჩნევად ადიდდა, რაც ხელს უშლის მუშა ხალხის მისვლა-მოსვლას. სრულიად პატარა ხევები, რომელნიც კვლავ კოლობაყურების საბუდრად არის ხოლმე, დღეს ისე აზვავდა, რომ ხალხს აღარჩობს. ასე, მაგალითად, 16 ამ თვეს პატარა ხევმა ქუსნიამ კინაღამ არ დაახრჩო ტფილისისკენ ეტლით მიმავალნი თიანეთის აფთიაქის პატრონი ქიბალოშვილის სახლობა, თიანეთის მაზრის ექიმის ორი პატარა ბავშვი და თიანეთის მაზრის ბებია ქალი ნ. ვართანოვისა. ამათ რომ აქვე ახლოს მყოფი მწყემსები არ შეშველებოდნენ, სწორედ ვერც ერთი ცოცხალი ვეღარ გადარჩებოდა. ამისთანა მაგალითი რამდენიმე სხვაც იყო. ერთი ს. ჯებოტელი დოლიაშვილი დაიხრჩო და ამბობენ წყლის მსხვერპლი სხვაგანაც არისო. ყველა ამ უბედურებას 15 მაისს ნაშუადღევის 5 საათზედ მოჰყვა კარგა მსხვილი სეტყვა, რომელმაც მთელი ათი წუთი გასტანა და ყოველგვარი ნათესი და ხეხილი დააზიანა. სეტყვა 16 განმეორდა, მაგრამ ისეთი ხანგრძლივი და საშიში კი აღარ იყო. დროებით ვითომ წვიმები გადაიღო, მაგრამ სამაგიეროდ ზედ მოჰყვა ქარიშხალი და სიცივეები, რაც არა ნაკლებ ზიანს აძლევს მცხოვრებთ.

ს. თიანეთიდგან აღმოსავლეთით 15 ვერსის მანძილზედ ილდაკნის ტყეში თ-დ. ჩოლოყაშვილის მამულში ერთმა ინგლისელმა კამპანიამ დაიწყო ნავთის მუშაობა. ჯერ-ჯერობით ერთი ბურღი მუშაობს და 80 საჟენზედ კიდეც დავიდნენ. მეორე ბურღიც მალე დაიწყებს მუშაობას, რადგანაც ამისთვის კოშკი კიდეც მზად არის. ნავთის ნიშნები ნახეს და დიდი იმედიც აქვთ. თუ აქ ნავთის საქმე დაიწყო, სწორედ სანტრელი საქმე მოუვა მთელი თიანეთის მაზრას, რადგანაც ეს დაიხსნის დღევანდელი გაჭირვებისაგან.

დეგოთელი.

მუშათა ცხოვრება

◆ საფრანგეთში ქალაქ ლიონის საბჭომ, რომელიც უმეტესად სოციალისტებისაგან შესდგება, განაჩენი მიიღო, რომლითაც პროტესტს უცხადებს მთავრობას უსაფუძვლო ჩხრეკის გამო, შრომის ბირჟასა და კოოპერატიული მოძრაობის მოღვაწეების სახლებში.

◆ ეკატერინბურგიდან იტყობინებიან, რომ ტროიცის ოქროს მადნებში გაიფიცნენ მუშები და მოითხოვეს ფასის მომატება. მათი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

◆ ციურიხის მაზრის ერთი სოფლის გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ მათ ნება მიეცეს, ჩითეულობის კოოპერატიული ფაბრიკა გახსნან.

◆ ბოსტონში, მილიარდერ ვუდის საქმის გარჩევის დროს, ერთმა მოწმეთაგანმა, სახელდობრ ქარხნის პატრონმა კოლინსმა სასამართლოს შემდეგი მოახსენა: ვუდამ სთხოვა მას, რომ გაფიცულ მუშების სასადილოში დაემალა 50 გირვანქა დინამიტი იმ განზრახვით, რომ მუშებზე ეჭვი მიეტანათ, თითქო მათ ეს დინამეტები ტერორისტულ აქტების მოსაწყობად უნდოდათ. სამაგიეროთ ამისთვის ვუდა დაპირებია კოლინს ქალიქის თავით გაყვანას. კოლინს უარი განუცხადებია მილიარდერის ასეთ წინადადებაზე მხოლოდ მილიარდერის განძრახვა ვილაცას სისრულეში მოუყვანია, რის შემდეგ მუშები დაუპატიმრებიათ დინამეტის შენახვისათვის.

თეატრი და ხელოვნება

დღეს, 25 მაისს, „ახალ კლუბში“ (საზაფხულო თეატრის შენობა) გაიმართება ვ. ი. ზელიონის დირიჟორობა-გამგეობით პირველი სიმფონიური კრება ცნობილ პიანისტის ლევ. პიშნოვის მონაწილეობით. სხვათა შორის, ბ-ნი პიშნოვი შეასრულებს საფორტეპიანო კონცერტს ჩაიკოვსკისას ორკესტრის აკომპანიმენტით.

ქართულმა დრამატიულმა სექციამ თავისი მორიგი დღე, კვირა, 26 მაისი ზუბალაშვილის სახალხო სახლში იაპონიურ დრამატიულ დასს დაუთმო, რომელიც წარმოდგენას გაჰმართავს ქ-ნ **განაკო ოოტას**, ტოკიოს საიმპერატორო თეატრის მსახიობის მონაწილეობით, დაკლებულ ფასად.

ბაქო. სეზონის დასამთავრებლად უკანასკნელი წარმოდგენა ბაქოში გაიმართა კვირას, 19 მაისს. მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ქეთევან ანდრონიკაშვილისა, ახალგაზრდა მომღერალი ბ-ნი გ. ჩუბინაშვილი და ადგილობრივი სცენის მოყვარენი. წარმოადგინეს ვოვოდევილი „ადვოკატთან“ და ოპერეტტა „ცელქები“. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი. საღამომ მეტად მხიარულად ჩაიარა. განსაკუთრებით ძალიან მოეწონა საზოგადოებას ოპერეტტა „ცელქები“ გარდა იმისა რომ თვით ოპერეტტამ მწყობრად ჩაიარა, ტასო აბაშიძის სიმღერამ და კუპლეტებმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ტაშის ცემას დასასრული არა ჰქონდა. ამავე ოპერეტტაში მონაწილეობას იღებდა ბ-ნი ქუმბურიძე, რომელსაც მშვენიერი ხმა (ტენორი) აღმოაჩნდა ამ ახალგაზრდას ეტყობა სმენაც კარგი აქვს და დასანანებელი იქნება, რომ არ იმეცადინოს და არ განავითაროს ხმა.

დივერტისმენტითაც კმაყოფილი დარჩა საზოგადოება. ახალგაზრდა მომღერალმა გოგი ჩუბინაშვილმა შეასრულა რუსული და ქართული რომანსები. დამსწრეებმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს და რამდენჯერმე გაამეორებინეს. ტასო აბაშიძემ წაიკითხა „ოცნების კოცნა“, გ. პავლიაშვილმა—გლეხური სცენები, ხოლო ა. პავლიაშვილმა—ქართული ლექსები

წინადაც აღმინიშნავს, რომ წლის ბაქოელ სცენის მოყვარეებს და სექციას დიდი შრომა დასჭირდათ. მთელი სეზონის განმავლობაში, შემოდგომიდან დაწყებული, დასდგეს სულ 30 წარმოდგენა, ამას-კი პატარა პროვინციალურ სცენაზე მართლა დიდი ენერგია და შრომა უნდა.

დეპეშები

დეპეშათა პეტერბ. სააგენტო.

22—23 მაისი.

უცხოეთი

ვენა. ცნობა, ვითომც ვენიზელოსი თანამდებობაზე უნდა გადადგეს, სიმართლეს არის მოკლებული. მთავრობასა და მეფეს შორის სრული თანხმობა ჰსუფევს.

ვაშინგტონი. იაპონიის ელჩმა ჩინდმა ბრაიენს იაპონიის მთავრობის პასუხი გადასცა კალიფორნიის კანონ-პროექტის თაობაზე. პასუხს ულტიმატუმის ხასიათი არ აქვს. იგი უფრო მოუწოდებს მოლაპარაკების გასამართავად.

ლონდონი. რეიტერის ცნობით, სამშვიდობო კონფერენციის საღამოს სხდომას საბერძნეთის დელეგატები არ დასწრებიან. სხდომამ ორ საათს გასტანა. სხდომის ხასიათი ფრიად გულთბილი იყო. ოქმის საკითხში შეთანხმება მოხდა. რადგანაც საბერძნეთის დელეგატები არ იყვნენ სხდომებზე, ამიტომ საბერძნეთის შესახები საკითხები საბოლოოდ არ გამოირკვეულა. თუმცაღა დელეგატები აღნიშნავენ, რომ ამ საკითხებშიაც მოხდება შეთანხმებაო.

ბელგრადი. გაზეთი „პოლიტიკა“ იუწყება: სერბიის მთავრობამ წინადადება მისცა მოკავშირე სახელმწიფოთა პრემიერებს შეჰხვდნენ ერთმანეთს მოსალაპარაკებლად 26 მაისს სალონიკში. საბერძნეთმა და ჩერნოგორიამ წინადადება მიიღო.

პარიზი. მინისტრ-პრეზიდენტად ნამყოფ ბრიანის ავტომობილი დაეჯახა ტვირთის ავტომობილს. ბრიანმა იღრძო თეძო და მხარი. ორი შოფერი დაჭრილია.

რუსეთი.

პეტერბურგი. ქალაქის საბჭოს სხდომაზე ქალაქის თავის კანდიდატის არჩევნები მოხდა. აირჩიეს 89 ხმით წინააღმდეგ 26—ყოფილი სახალხო განათლების მინისტრი **ტოლსტოი.** სხვებმა მოხსნეს კანდიდატურა.

დაჭერილ იქმნა გაზ. „პრავდას“ № 116.-ი.

მინსკი. საოლქო სასამართლოში დაიწყო გლეხთა არეულობის შესახებ 1912 წლის დეკემბრის საქმის გარჩევა. არეულობა ს. ოსტროვში მოხდა გრაფ პოტოცკის მამულში გლეხთა სერვიტუტების სივრცის შეზღუდვის ნიადაგზე. ბრალდებულია 21-გლეხი.

ორს გამასწორებელ რაზმში 8 თვით გაგზავნა მიუსაჯეს, 8 კაცს 8—12 თვემდე ციხე, 11 კაცი გაამართლეს.

შემოწირულება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას 26 მაისის სეირნობისათვის შემოსწირეს (ელენე პატარაძის ხელით):

1) ცენტრალური წიგნ. მაღაზიისაგან 2 წიგნი, 2) ჩილინგაროვმა—საათის 2 ჩამოსაკიდი ტყავისა, 3) იობაისაკაძემ—1 მანეთი ფულად, 4) ბაჯიევმა—1 მედალიონი, 5) კახეთელიძემ—6 ცალი სათუთუნე, 6) იტრიევმა—1 ჩარჩო, 1 სათამაშო ძაღლი, 7) ანდოევმა—1 სარკიანი ჩოთქი, 8) აბოვიანმა—1 ჩოთქი, 9) ეგანოვმა—საკარაქე, 10) დემურიშვილმა—1 ეტაჟერი, 1) კირაკოზოვმა—ნახევარ გირვანქა მარმელადი, 12) გვახარიამ—ყვავილები, 13) ქავჭანიძემ და გველესიანმა—1 კოფტა, 3 შალი, 2 ფეხსაცმელი, 5 მარაო, 10 ბურთი, 12 ბანტი, 2 წყვ. ხელთათმანი, 3 რედიკიული, 1 შლიაპა, 2 სარკე, 7 მედალიონი, 1 პორტმანე, 14) ატერიანი—12 ნაჭერი საპონი, 15) ტირიშოვმა—2 გალსტუკი, 16) ხარაევმა ილიამ—3 ცალი კანაფი, 17) ჯავახიშვილმა—1 ფართუკი, 18) ენიკოლოფოვმა—ტიკინი, 19) ივანიაშვილმა—1 ცალი ძაფი, 20) დოროჟნოვმა—2 დუჟინი ცხვირსახოცი, 21) ატამიანცმა—2 კოლოფი კამფეტი, 22) სეილანოვმა—4 კოლ. ყავა, 1 გირვ. გალეტი, 23) კურჩიშვილმა—6 ცალი კოვზი, 6 დუჟ. ღილი, 2 წყვილი ხელთათმანი, 2 თოფი რეზინი, 24) არბაშევმა—1 ცალი კოფთა, 25) შარაბიანცმა—6 ცალი საპონი, 26) ბებურიშვილმა—6 ცალი ცხვირსახოცი, 27) ჯანგველაძემ—2 ცალი ვერცხლის ბრელოკი, 28) მოსესოვმა—1 ბოთლი ლიმონადი, 29) მჭედლიშვილმა—1 ბოთლი კონიაკი, 30) ნიჟარაძემ—1 ბოთლი ღვინო, 31) ღარიბოვმა—1 პატარა შალი, 32) სარხამოვმა—2 ბოთლი ლიმონადი, 33) პოლოსოვმა—1 ცხვირსახოცი, 34) მიქაძემ—2 ცალი საკოფთე, 35) ნავთიკოვმა—1 შანდალი, 36) სააკოვმა—1 გორგალი კანაფი, 37) ატანანიანცმა—2 კუკლა, 38) რივკერვანიმ—1 ოქროს მედალიონი, 39) აკოფოვმა—ერთი შეკერილი ბალიში, 40) გოგელიძემ—1 ვერცხლის ბროშკა, 41) ჯიქიამ—1 წყვილი ვერცხლის საყურე, 42) კ. ფირცხელაურმა—1 წყვილი წითელი ტუფლები.

წერილი რედ. მიმართ

სოფელ ერთაწმინდაში ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დამაარსებელნი უღრმეს მადლობას უძღვნიან შიო დედაბრიშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ხსენებულ სოფელში ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკა სამკითხველოს შემდეგი წიგნები: 1) ჟურ. „ჯეჯილის“ 36 ცალი უკანასკნელი წლებისა, 2) ჟურ. „ნაკადულის“ 57 ცალი უკანასკნელი წლების; 3) სახალხო გაზეთის“ სურათ. დამატება 14 ცალი ამ წლისა; 4) „სასოფლო გაზეთი“ 2 ცალი; 5) „სამეურნეო ჟურნალი“ 1 ცალი; 6) „რას გვიამბობს ოთახი“, ჯაფარიძისა 1 ცალი და 7) „დამარცხებულნი“ ირეთელისა 1 ცალი.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგე
ქ-ნი ო. ჟამუტაშვილისა.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პოსტ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **ხაფასტი** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პოსტ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

მცხეთაზე: № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე, კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

ჯულფისკენ: **საფ.** № 4,3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

ყარსისკენ: **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24,23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**— პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 6 ს. 16 წ., № 06, **ნარევ.** დამ. 2 ს. 12 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 მ. **ფონმინბ-ოსიპოვიჩისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, აშაღლების ქ. ტელ. 517).

5—6ა. **მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. ო. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტის შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ. ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, გლისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

კბილის
ექიმი ა. გ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

კბილისა
ექიმი ნინო ჩიხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ვკისრულობთ:
თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.
კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.
შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.
გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.
პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „**შრომის**“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 სა თამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაგონიასი. ტელეფ. 9-25.
ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.

თელავში
კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

კახეთის რკინის გზა
ტფილისიდან 40 ვერსის მოშორებით, სადგურ საგარეჯოს მახლობლად, სრულიად საღსა და არა ციებიან ადგილებში, ისყიდება საგარაკო მიწა ნაჭრებად. 255 დესეტინიდან განსაზღვრულია 40 დესეტინა საგარაკოდ. ნაძვნარი, მშვენიერი ტყე, წყაროები, იშვიათი საცქერი იორის ხეობაზე და ცივ გომბორის მთაგრეხილები. ნიადაგი 4½ ფუტ. არის მაღლა ზღვის ზედა პირზე. ფასი თითო კვადრ. საჟ. 20 კაპეიკიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად. მიჰმართეთ: გაზ. „**კავკაზის**“ რედაქციაში ბ. **რადიკევიჩს** დილის 10—ნაშუადღ. 3 საათ. და ბ. **გულისაშვილს** 6—საღ. 8 საათ. წერილობითი ცნობები შემდეგი ადრესით: სადგ. სართიჭალა, სოფ. იაგარეჯო, **იერემია გულისაშვილს.** 198

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

მუდამ დღე მოგვდის
ახალ-ახალი
იშხანი,
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
ახალი მსხვილ-მარცვლოვანი
ხიზილალა (ქიტკა).
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგიელები, სხვა ყოველნაირი თევზეულობა და კონსერვები.
თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.